31 ოქტომბერი 2024 წელი

# ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პარტია „ანა დოლიძე-ხალხისთვის“ წევრის ნინო წულაძის ანგარიში

2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით

ნინო წულაძე

პარტია „ანა დოლიძე-ხალხისთვის“

ქ. თბილისი, თავისუფლების ქ. N2

**პარტია „ანა დოლიძე-ხალხისთვის“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ნინო წულაძის მიმართვა**

**მოგესალმებით,**

2022 წლის 1 აგვისტოდან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მე-7 მოწვევის საკრებულოში წარმოვადგენ მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას „ანა დოლიძე-ხალხისთვის“ და თბილისის მოსახლეობას.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ამასთან ვარ ურბანული დაგეგმარების, საქალაქო მეურნეობისა და სატრანსპორტო კომისიის წევრი.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში გენდერულ საკითხებზე, არაპარტიული, რეალური სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფისა და ქალთა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური გაძლიერების მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელების მიზნით, პარტია „ანა დოლიძე-ხალხისთვის“ ინიციატრივით საკრებულოს სამმა ოპოზიციურმა პარტიამ, პარტია „ლელომ“ და პარტიამ „საქართველოსთვის“ ჩამოვაყალიბეთ ალტერნატიული გენდერული თანასწორობის საბჭო.

**სტატისტიკური მონაცემები**

- საკრებულოს სხდომებში მონაწილეობა
  - **8 სხდომა;**
  - **113 დადგენილება**
  - **675 განკარგულება**
- სატრანსპორტო კომისია
  - **8 სხდომა;**
  - **28 საკითხი;**
- ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისია
  - **15 სხდომა;**
  - **168 საკითხი;**
- გასული კორესპონდენციების რაოდენობა
  - **ნოემბერი - 2;**
  - **დეკემბერი - 1;**
  - **იანვარი - 1;**
  - **თებერვალი - 3;**
  - **მარტი - 1;**

- **აპრილი - 4;**
- **მაისი - არა რუსულ კანონს!**
- **ივნისი - არა რუსულ კანონს!**
- **ივლისი - არა რუსულ კანონს!**
- **აგვისტო - არა რუსულ კანონს!**
- **სექტემბერი - არა რუსულ კანონს!**
- **ოქტომბერი - არა რუსულ კანონს!**

- შეხვედრები მოქალაქეებთან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში
  - **სამუშაო შეხვედრა - 18;**
- სატელეფონო კონსულტაცია
  - **2023 წლის 17 ნოემბრიდან - 2024 წლის 4 ოქტომბრამდე - 62 ზარი;**

Live ჩართვები და ბრიფინგები

10 ნოემბერი - საგზაო ინფრასტრუქტურა თბილისის 202-ე უსინათლო ბავშვთა სკოლის მიმდებარედ - უსინათლოთა ყოველდღიური პრობლემები - https://www.facebook.com/Khalkhistvis/videos/1847994105597541

10 ნოემბერი - ვიქტორ წილოსანის ყოველწლიური ანგარისის შეფასება - https://www.facebook.com/Khalkhistvis/videos/372914538411133

12 ნოემბერი - დამხმარე მინის ნაგებობა მთავრობის ადმინისტრაციაზე - https://www.facebook.com/Khalkhistvis/videos/2054674971558026

13 ნოემბერი - უსინათლოთა რეალური პრობლემები - უსინათლოთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ბრიფინგი საკრებულოში https://www.facebook.com/Khalkhistvis/videos/330070369766482

21 ნოემბერი - ბიუჯეტის პროექტის შეფასება 2024 - უფასო სასკოლო კვება https://www.facebook.com/Khalkhistvis/videos/875836717278152

1 დეკემბერი - ასლანიდის 25, ბერბუკის 10, მოქალაქეები გაუსაძლის ბარაკების ტიპის განაშენიანებაში ცხოვრობენ, ისინი ითხოვდნენ ადგილმონაცვლეობას და ღირსეული საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფას. https://www.facebook.com/Khalkhistvis/videos/787992696420727

8 დეკემბერი - ბკ კოსტრაქშენი კალაძის გარემოცვის ბიზნეს სუბიექტი გამრეკელზე იწყებს ავარიული კორპუსის რეაბილიტაციას. https://www.facebook.com/Khalkhistvis/videos/334542866013988

15 დეკემბერი - კრიტიკული კითხვები თბილისის მერს. https://www.facebook.com/Khalkhistvis/videos/1102293474272879

16 დეკემბერი - თბილისის მერის ყოველწლიური ანგარიშის შეფასება საკრებულოს სხდომაზე. https://www.facebook.com/Khalkhistvis/videos/1539652793516373

20 დეკემბერი - ჭონქაძის 15/12 ჩამონგრეული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. https://www.facebook.com/Khalkhistvis/videos/1108827870541801

23 იანვარი 2024 წელი - წერეთლის გამზირის რეაბილიტაციის შეფასება, კონტრაქტორ კომპანიებთან შეწყვეტილი ხელშეკრულებების განხილვა. https://www.facebook.com/Khalkhistvis/videos/388743773730697

29 იანვარი - ვარკეთილის მეტრო - 6 წელი ჭერის ჩამონგრევიდან და 14 ადამიანის დაშავებიდან რატომ არ არის ჯერ კიდევ დასრულებული რეაბილიტაცია. https://www.facebook.com/Khalkhistvis/videos/340777205526024

30 იანვარი - "მაუდის საფეხბურთო მოედნის შენარჩუნების მოთხოვნა" - დიდუბე.

https://www.facebook.com/Khalkhistvis/videos/290329594056711

14 მარტი - სამტრედიის ქუჩაზე სავარაუდოდ გაზის გაჟონვით გამოწვეული აფეთქება ლაივ ჩართვა ქალაქის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. https://www.facebook.com/Khalkhistvis/videos/414166767818912

18 მარტი - ბახტრიონის და ფანასკერტელის ქუჩის კვეთა - გზა გასკდა მომიჯნავედ მიმდინარე მშენებლობის გამო. https://www.facebook.com/Khalkhistvis/videos/2803263056499240

20 მარტი - ჩუღურეთის რაიონში ნინოშვილის ქ. N48 -ში ჩამოინგრა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის კედელი. მოსახლეობის მიმართვის შემდეგ მივედით ადგილზე გამოვიძახეთ გამგებელი და გამგეობის წარმომადგენლები და მოვითხოვეთ სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა ავარიულობის რეალურ ხარისხთან დაკავშირებით. ასევე გადავკეტეთ გზა პროტესტის ნიშნად. სახლის რეაბილიტაცია ჩვენი ერთობლივი პროტესტის შედეგად დაიწყო ჩუღურეთის გამგეობამ. https://www.facebook.com/Khalkhistvis/videos/432289825966333

**სატელევიზიო გადაცემები**

1. 8 დეკემბერი ტვ პირველი კომენტარი - გამრეკელზე ავარიული კორპუსის ჩანაცვლების ტენდერი კალაძემ მისი მეგობრის კომპანიას ბკ კონსტრაქშენს მოაგებინა. მილიონობით ლარი თბილისის მოსახლეობის ჯიბიდან უკონკურენტოდ, გაუმჭვირვალედ მიდის ოცნების ბიზნესმენების ჯიბეში! ეს ხელისუფლება არ არის ყველასთვის, მისგან სარგებელს მხოლოდ პრივილეგირებული სუბიექტები იღებენ https://www.facebook.com/48N.Tsuladze/videos/1065089294617584
2. 12 დეკემბერი ტვ ფორმულა კომენტარი - როგორი იქნება თბილისი 3-4 წლის შემდეგ - ცათამბჯენები დედაქალაქის ისტორიულ ნაწილში, მასშტაბური მშენებლობები, რომელიც იერსახესაც აზიანებს და ამწვავებს სატრანსპორტო კოლაფსს წყარო: ურბანული კვლევის ცენტრი - მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ურბანული გამოწვევები https://www.facebook.com/48N.Tsuladze/videos/1811753769253211
3. 15 დეკემბერი ტვ პირველი კომენტარი - რაც არ უნდა ეცადოს კალაძე დღესასწაულს დაუმთხვიოს ყოველწლიური ანგარიში მაინც ვერ დააღწევს თავს კითხვებს ევროკავშირისა და ევროპარლამენტარების მიმართ ნათქვამ მის სამარცხვინო ფრაზებთან დაკავშირებით! კანდიდატის სტატუსი ყველაფრისმომცემია კალაძის მერობა არაფრისმომცემი! https://www.facebook.com/48N.Tsuladze/videos/892177442129297

4. 29 დეკემბერი ტვ პირველი გადაცემა - ნინო წულაძე: აქ ვინც ხელს ითბობს, მდიდრდება და გამდიდრდება ეს არის ივანიშვილი და კალაძე. ლაგუნა ვერეს პროექტის განხილვა https://www.facebook.com/48N.Tsuladze/videos/1395586331072877

5. 22 იანვარი ტვ პირველი კომენტარი ივანიშვილის გამდიდრების ახალი სქემა "ქველმოქმედების" სახელით. მიმდინარე მშენებლობების შეფასება https://www.facebook.com/48N.Tsuladze/videos/926572885749800

6. 23 იანვარი - ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე მიმდინარე მშენებლობის შეფასება ტვ პირველის ეთერში. არ შეიძლება ადამიანის ღია ცის ქვეშ დატოვების ხარჯზე ივანიშვილმა ხელი მოითბოს | ნინო წულაძე https://www.facebook.com/Khalkhistvis/videos/348833934605735

7. 23 იანვარი ტვ პირველი - ბერი გაბრიელ სალოსზე მიმდინარე სამშენებლო პროცესის შეფასება საკრებულოს სხდომის შეფასება. https://www.facebook.com/48N.Tsuladze/videos/728961819201995

8. 27 იანვარი ტვ ფორმულა გადაცემა - ივანიშვილის სავარაუდო კორუფციული სამშენებლო სქემების შეფასება https://www.facebook.com/48N.Tsuladze/videos/694707242855411

9. 31 იანვარი - ტვ პალიტრა გადაცემა რეზიუმე წერეთლის სარეაბილიტაციო სამუშაოების შეფასება https://www.facebook.com/Khalkhistvis/videos/368040799297962

10. 24 მაისი ტვ პირველი - ნინო წულაძე: ყრუ კედლები არიან - ქართული ოცნება დავტოვეთ მარტო, ბოიკოტის შეფასება https://www.facebook.com/48N.Tsuladze/videos/8315497358465033

11. 20 ივნისი ტვ ფორმულა - GWP-სა და მერიის პასუხისმგებლობის შეფასება იპოდრომზე მიმდინარე სამშენებლო პროცესების შეფასება.
https://www.facebook.com/48N.Tsuladze/videos/1125653678544385
https://www.facebook.com/48N.Tsuladze/videos/982870806862929
12. 21 ივნისი - „თბილისში ცხოვრების შესაძლებლობას გვინადგურებენ“ იპოდრომის ტერიტორიზე მიმდინარე მშენებლობის შეფასება ფორმულას ეთერში https://www.facebook.com/Khalkhistvis/videos/1844935219319433

13. 21 ივნისი - ტვ კავკასია - წყნეთის გზის რეაბილიტაცია, საცობები ქალაქში, განაშენიანების პრობლემა - იპოდრომისა და ლაგუნა ვერეს კომპლექსის შეფასება. https://www.facebook.com/48N.Tsuladze/videos/351325464657887

**სამუშაო შეხვედრები**

1. 9 ნოემბერი - შევხვედრა სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის წარმომადგენელთან ლევან ფანიაშვილთან. რომელმაც წარმოგვიდგინა სოციალური მეწარმეობის კონცეფცია.
2. 21 ნოემბერი - შეხვედრა კიკეთში მარინე ქოჩლაძესთან ტყეების გაჩეხვასთან დაკავშირებით.
3. 1 დეკემბერი - ბერბუკის N10 კორპუსებს შორის შთანთქმული "ზარაკები", 13 ოჯახი ღირსეული საცხოვრებელი პირობების გარეშე, მომეტებული საფრთხისა და ავარიულობის პირობებში.
4. 8 დეკემბერი - შეხვედრა რუსთავის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ოპოზიციაში მყოფ თავმჯდომარესთან, ვისაუბრეთ მუნიციპალიტეტებში არსებულ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევებსა და პრევენციულ ღონისძიებებზე. ასევე გენდერულ სახელფასო სხვაობასა და ქალების პოლიტიკური გაძლიერების მნიშვნელობაზე.
5. 20 დეკემბერი - ჭონქაძის 15/12 ჩამონგრეული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, მოქალაქეთა მომართვის საფუძველზე მივედი ადგილზე მდგომარეობის შესასწავლად და პროცესში შესაბამისი სამსახურებისთვის მყისიერი ჩართვისკენ მოსაწოდებლად. https://www.facebook.com/Khalkhistvis/videos/1108827870541801
6. 21 დეკემბერი - შეხვედრა თბილისის საკრებულოში ბერბუკის N10 ნომერში მცხოვრებ მოქალაქეებთან, მათი საცხობრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით.
7. 27 დეკემბერი - შეხვედრა დიდი დიღმის მოსახლეობასთან. დიდ დიღომს სჭირდება მეტი რეკრეაციული სივრცე კორპუსების ნაცვლად. პროტესტი მიმდინარე სამშენებლო პროცესთან დაკავშირებით.
8. 25 იანვარი - შეხვედრა გულიკო ზერაძესთან, რომელმაც იპოთეკით დაკარგა სახლი და ბოლო 20 წელია ცხოვრობს ყაზბეგზე კორპუსის დამხმარე ნაგეგბობაში რომელიც არის 8 კვ.მ ამხანაგობამ მისცა იქ ცხოვრების უფლება.
9. 15 თებერვალი - შეხვედრა გ. მარუაშვილის ქუჩაზე მაცხოვრებ მოქალაქესთან გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხის განხილვა.
10. 14 მარტი - „კოოპერატივი 629-ის" დაზარალებულებთან შეხვედრა თბილისის საკრებულოში.
11. 20 მარტი - ჩუღურეთის რაიონში ნინოშვილის ქ. N48 -ში ჩამოინგრა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის კედელი. მოსახლეობის მიმართვის შემდეგ მივედით ადგილზე გამოვიძახეთ გამგებელი და გამგეობის

წარმომადგენლები და მოვითხოვეთ სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა ავარიულობის რეალურ ხარისხთან დაკავშირებით. ასევე გადავკეტეთ გზა პროტესტის ნიშნად. სახლის რეაბილიტაცია ჩვენი ერთობლივი პროტესტის შედეგად დაიწყო ჩუღურეთის გამგეობამ. https://www.facebook.com/Khalkhistvis/videos/432289825966333

12. 29 მარტი - დიდი დიღომი არჩილ მეფის N19 - შეხვედრა მოქალაქესთან, სავარაუდო დარღვევით მინდინარე მშენებლობა.
13. 5 აპრილი - მრგვალი მაგიდის დისკუსია რონდელის ფონდში - "ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ჩართვა პოლიტიკურ პროცესებში"
14. 14 ივნისი - იპოდრომის განადგურება ქართული ოცნების მიერ შეხვედრა მომიჯნავედ მაცხოვრებლებთან https://www.facebook.com/Khalkhistvis/videos/830308578977543
15. 22 ივლისი - შეხვედრა მოქალაქე გია შაქიაშვილთან.
16. 31 ივლისი - ბოლნისი - შეხვედრა ეთნიკური უმცირესობების თემის წარმომადგენლებთან. https://www.facebook.com/Khalkhistvis/videos/348782561613696
17. 12 აგვისტო შეხვედრა მოქალაქე მერი აბულაშვილთან.
18. 15 აგვისტო შეხვედრა მოქალაქე მაია ბუჩიაშვილთან.

**პოლიტიკური სიტყვა საკრებულოს სხდომაზე**

1. 21 ნოემბერი - 2024 წლის ბიუჯეტის პირველადი ვერსია - უფასო სასკოლო კვება სკოლებში. https://www.facebook.com/48N.Tsuladze/videos/730359008427721
2. 19 დეკემბერი - 🔶ბავშვთა უფასო სასკოლო კვება
   🔶საცობი - სატრანსპორტო პოლიტიკა
   🔶პიროტექნიკა
   🔶მიუსაფარი ცხოველები
   https://www.facebook.com/48N.Tsuladze/videos/1433104700954621
3. 29 დეკემბერი - ნინო წულაძის პოლიტიკური სიტყვა საკრებულოს სხდომაზე
   👇პიროტექნიკის გამოყენების რეგულირება
   👇 უფასო სასკოლო კვება
   👇 ლაგუნა ვერე - ურბანული კატასტროფის მომასწავებელი პროექტი
   https://www.facebook.com/Khalkhistvis/videos/1551824168724158
4. 23 იანვარი - მარინა ხატიაშვილის ოჯახის გამოსახლება

🔶 ჩვენი პარტიის წევრის ბესო ჩაკვეტაძის დაკავება
🔶 ივანიშვილის სამშენებლო ბიზნესი და ქველმოქმედების სახელით შეცვლილი დამტკცებული გეგმარებითი დავალება
🔶 წერეთლის გამზირის რეაბილიტაციის დროს გამოვლენილი სავარაუდო კორუფციული გარიგებები
https://www.facebook.com/48N.Tsuladze/videos/1077521706784116

5. 21 თებერვალი პარტია "ანა დოლიძე-ხალხისთვის" მიერ წარდგენილი განუხილველი საკანონმდებლო წინადადებები
   აუთვისებელი ბიუჯეტი განადგურების - პირას მყოფი ქალაქი
   https://www.facebook.com/48N.Tsuladze/videos/393280546646123

6. 29 მარტი - ავარიული სახლების ჩანაცვლების პრობლემა https://www.facebook.com/48N.Tsuladze/videos/389418687212564

7. 26 აპრილი - პერფორმანსი საკრებულოს სხდომაზე-კარტოფილი და ხახვი იმის საილუსტრაციოდ, როგორ იყენებს ქართული ოცნება აქციაზე ხალხის გამოსაყვანად მათ სოციალურ-ეკონომიკურ სიდუხჭირეს https://www.facebook.com/Khalkhistvis/videos/820660506633222

**საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია**

2023 წლის 1 ნოემბრიდან დავესწარი საკრებულოს 8 სხდომას, სადაც განვიხილეთ 113 დადგენილებისა და 675 განკარგულების პროექტი. ამასთან დავესწარ სატრანსპორტო კომისიის 8 სხდომას სადაც მონაწილეობა მივიღე 28 საკითხის განხილვაში. ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრის სტატუსით მონაწილეობა მივიღე კომისიის 15 სხდომაში, სადაც განვიხილე 168 საკითხი.

**საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაცია**

- გასული კორესპონდენციების რაოდენობა
  - **ნოემბერი - 2;**


ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი:03-0323324136
თარიღი: 20/11/2023

ადრესატი:
ირაკლი ხელაძე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ფინანსების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავმჯდომარე

მოგესალმებით,

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 72-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე წარმოგიდგენთ შესაბამის დასკვნას ქ. თბილისის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის პირველად ვერსიასთან დაკავშირებით.

ნინო წულაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს წევრი

- **დეკემბერი - 1;**

21 დეკემბერი წერილი ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დაკბენა/დაკაწვრა/დადორბვლის სტატისტიკური მონაცემების გამოთხოვა

26 დეკემბერი პასუხი ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოსგან


ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: 03-032335472
თარიღი: 20/12/2023

**ადრესატი:** სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო
**მისამართი:** თბილისი, დავით გურამიშვილის გამზირი, ჩიხი N5
**ადრესატი:** სსიპ ხურსათის ეროვნული სააგენტო
**ადრესატი:** საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი - სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი

**მოგესალმებით,**

გთხოვთ მოგვაწოდოთ, 2017 წლიდან დღემდე მიუსაფარი ცხოველების მიერ მოქალაქეთა დაკბენის სტატისტიკა, წლების მიხედვით.

ნინო წულაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს წევრი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი


ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო
TBILISI CITY HALL
LEPL ANIMALS MONITORING AGENCY

წერილის ნომერი: 73-0123360563
თარიღი: 26/12/2023

**ადრესატი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**მისამართი:** თავისუფლების მოედანი N2

2023 წლის 21 დეკემბრის N:14-01233551154-73 წერილის პასუხად გიგზავნით ინფორმაციას ცხოველების მიერ მოქალაქეთა დაკბენა/დაკაწვრა/დადორბვლის სტატისტიკური მონაცემების შესახებ:

2022 წელი - 1393 ფაქტი;

2023 წლის იანვრიდან 20 დეკემბრის ჩათვლით - 1317 ფაქტი.

წარმოდგენილ მონაცემებში გათვალისწინებულია როგორც მიუსაფარი, ასევე პატრონიანი ცხოველების მიერ მოქალაქეთა დაკბენა/დაკაწვრა/დადორბვლის სტატისტიკური მონაცემები.

გიორგი კობიაშვილი

სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო-დირექტორი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

- **იანვარი - 1;**

26 იანვარი 2024 წელი - წერილი ცენტრალურ საარჩევნო კომისიას

2 თებერვალი 2024 წელი - ცენტრალური საარჩევნო კომისიის პასუხი

- **თებერვალი - 3;**

15 თებერვალი - ქალაქ თბილისის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

19 მარტი - გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის ზოგადი პასუხი


ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: 03-0324046101
თარიღი: 15/02/2024

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს

**მოგესალმებით,**

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პარტია "ანა დოლიძე-ხალხისთვის" აპარატს, მომართა ჩუღურეთის რაიონში კერძოდ გ. მარჯანიშვილის ქუჩაზე მცხოვრებმა მოქალაქემ შემდეგ პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით. გ. მარჯანიშვილის N50-ის მიმდებარედ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ წიწვოვან ხეებში განთავსებულია ე.წ. რკინის გორგოლაჭები, რომელზეც მოქალაქეთა მიერ ინტენსიურად ხდება სარეცხის განთავსება, რამაც შესაძლებელია დაარღვიოს ხეების სასიცოცხლო ფუნქცია.

მოქალაქე 2016 წლიდან ცდილობს მიაქციოს მერიის ყურადღება ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხისადმი, თუმცა დღემდე რეაგირება არ ყოფილა ამ ვითარებაზე.

გთხოვთ, თქვენი კომპეტენციის ფარგლებში, რადგან შესწავლილი გაქვთ ეს საკითხი, მოგვაწოდოთ დეტალური, დოკუმენტური ინფორმაცია რა სახის დარღვევაა სახეზე, რატომ არ რეაგირებს მუნიციპალიტეტი აღნიშნულ ფაქტზე და არღვევს თუ არა


| ზოგადი ინფორმაცია | |
|---|---|
| განცხადების ნომერი: | N 03-0324046102 |
| განცხადების თარიღი: | 15 თებერვალი, 2024 |
| მისამართი/ საკადასტრო კოდი: | ქ. თბილისი, ქუჩა მარჯანიშვილი N50 |
| საკადასტრო კოდი(ები): | 01.16.02.014.009 |
| მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები): | სახელმწიფო |
| წარმოდგენილი დოკუმენტაცია | --- |
| დასკვნა: | |
| ინფორმაციული | |

**სამართლებრივი დასაბუთება**

**სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით:** საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „გ" ქვეპუნქტი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის დადგენილებით №28-94 დამტკიცებული „ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების" მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „კ" ქვეპუნქტი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების" მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „კ" ქვეპუნქტი.

**სამსახურის პოზიცია**

გაცნობებთ, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მასალები შესაბამისად გადაგზავნილია ქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში.

პატივისცემით,

15 თებერვალი სამსახურებრივი კორესპონდენცია ნიკოლოზ კახეთელიძეს საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარეს

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-0324046102**
თარიღი: **15/02/2024**

**ადრესატი:**

ნიკოლოზ კახეთელიძე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-გარემოს დაცვის კომისია-კომისიის თავმჯდომარე

**მოგესალმებით**,

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პარტია "ანა დოლიძე-ხალხისთვის" აპარატს, მომართა ჩუღურეთის რაიონში კერძოდ გ. მარუაშვილის ქუჩაზე მცხოვრებმა მოქალაქემ შემდეგ პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით. გ. მარუაშვილის N50-ის მიმდებარედ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ წიწვოვან ხეებში განთავსებულია ე.წ. რკინის გორგოლაჭები, რომელზეც მოქალაქეთა მიერ ინტენსიურად ხდება სარეცხის განთავსება, რამაც შესაძლებელია დაარღვიოს ხეების სასიცოცხლო ფუნქცია.

მოქალაქე 2016 წლიდან ცდილობს მიაქციოს მერიის ყურადღება ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხისადმი, თუმცა დღემდე რეაგირება არ ყოფილა ამ ვითარებაზე.

გთხოვთ, თქვენი კომპეტენციის ფარგლებში, რადგან შესწავლილი გაქვთ ეს საკითხი, მოგვაწოდოთ დეტალური, დოკუმენტური ინფორმაცია რა სახის დარღვევაა სახეზე, რატომ არ რეაგირებს მუნიციპალიტეტი აღნიშნულ ფაქტზე და არღვევს თუ არა ხეებში განთავსებული "რკინის გორგოლაჭები" მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობის წესს.

27 თებერვალი - წერილი თბილისის მერიას, ინფორმაციის გამოთხოვა თბილისის სახელმწიფო საწარმოების რაოდენობის შესახებ დასაქმებულთა საშტატო ნუსხისა და შრომითი ანაზღაურების მითითებით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032405869**
თარიღი: **27/02/2024**

**ადრესატი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
**მისამართი:** შარტავას ქ. 7ა

მოგესალმებით,

გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია თბილისის სახელმწიფო საწარმოების შესახებ, აღნიშნულ საწარმოებში დასაქმებულთა პოზიციებისა და არსებული შრომითი ანაზღაურების ნუსხის მითითებით.

ამასთან, გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ, თბილსერვის ჯგუფისა და თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დასაქმებულთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები.

ნინო წულაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს წევრი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

- **მარტი - 1;**

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პარტია "ანა დოლიძე-ხალხისთვის" აპარატს მომართა მოქალაქე ლალი ბოლღაშვილმა, რომელიც ცხოვრობს დიდი დიღმის მე-4 მკ/რაიონში N4ა-ში, იგივე არჩილ მეფის N19. მისი ნაკვეთის მომიჯნავედ, შპს "ნიუ ბრენდი" ს/კ 400170907 ახორციელებს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას. მოქალაქეს გაუუარესდა საცხოვრებელი გარემო, მიწის ნაკვეტზე განთავსებულ საცხოვრებელ შენობებზე შეიმჩნევა ბზარები, მიმდინარე მშენებლობა სავარაუდოდ არღვევს მოქალაქის წითელ ხაზებს და ზღუდავს მის კერძო საკუთრებას.

გთხოვთ, შეისწავლოთ არსებული მდგომარეობა და იმოქმედოთ მოქალაქის კანონიერი ინტერესების უზრუნველსაყოფად.



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-0324088163**
თარიღი: **28/03/2024**

**ადრესატი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
**მისამართი:** შარტავას ქ. 7ა

თბილისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალურ ინსპექციას
მოგესალმებით,

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პარტია "ანა დოლიძე-ხალხისთვის" აპარატს მომართა მოქალაქე ლალი ბოლღაშვილმა, რომელიც ცხოვრობს დიდი დიღმის მე-4 მკ/რაიონში N4ა-ში, იგივე არჩილ მეფის N19. მისი ნაკვეთის მომიჯნავედ, შპს "ნიუ ბრენდი" ს/კ 400170907 ახორციელებს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას.

მოქალაქეს გაუუარესდა საცხოვრებელი გარემო, მიწის ნაკვეტზე განთავსებულ საცხოვრებელ შენობებზე შეიმჩნევა ბზარები, მიმდინარე მშენებლობა სავარაუდოდ არღვევს მოქალაქის წითელ ხაზებს და ზღუდავს მის კერძო საკუთრებას.

გიზიარებთ, სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უახლეს დასკვნებს და მითითებულ რეკომენდაციებს, ასევე მიმდებარე მიწის ნაკვეთზე მიმდინარე მშენებლობის შეუქცევად ზიანს.

როგორც გვაქვს ინფორმაცია, მერიასთან აქტიური კომუნიკაცია აქვთ მოქალაქეს და

15.04.2024 - მუნიციპალური ინსპექციის პასუხი

- **აპრილი 4;**

05.04.2024 – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

05.04.2024 – სამსახურებრივი კორესპონდენცია რევაზ სოხაძეს. თბილისის საკრებულოს ურბანული განვითარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარეს.

05.04.2024 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

თბილისის საკრებულოს პარტია "ანა დოლიძე-ხალხისთვის" აპარატს მომართა დიდი დიღმის მე-4 მიკრო/რაიონის მოსახლეობამ, რომლებიც გამოთქვამენ უკმაყოფილებას, 01.10.07.004.084 საკადასტრო ერთეულზე სამომავლოდ განსახორციელებელ მშენებლობასთან დაკავშირებით. გთხოვთ, თქვენი კომპეტენციის ფარგლებში მოგვაწოდოთ ინფორმაცია რა ეტაპზეა მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებული ტექნიკური პროცედურები, ამასთან მოქალაქეთა თხოვნით, გთხოვთ, მომიჯნავე კორპუსის მაცხოვრებლები დაინტერესებული პირები და ჩვენ ჩაგვრთოთ განხილვის პროცესში, რადგან კრიტიკულად მნიშვნელოვანია მათი პოზიციების გაცნობა ამ პროცესში. ამასთან, გთხოვთ მოგვწერეთ შეიცვალა თუ არა ახალი გენ-გეგმით არსებული ფუნქციური ზონირება 2014-2018 წლების შემდეგ, დადებითი პასუხის შემთხვევაში გთხოვთ, მიუთითოთ საკრებულოს დადგენილება.


ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: 03-032409647
თარიღი: 05/04/2024

ადრესატი:
რევაზ სოხაძე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისია-კომისიის თავმჯდომარე

**მოგესალმებით,**

თბილისის საკრებულოს პარტია "ანა დოლიძე-ხალხისთვის" აპარატს მომართა დიდი დიღმის მე-4 მიკრო/რაიონის მოსახლეობამ, რომლებიც გამოთქვამენ უკმაყოფილებას, 01.10.07.004.084 საკადასტრო ერთეულზე სამომავლოდ განსახორციელებელ მშენებლობასთან დაკავშირებით.

გთხოვთ, თქვენი კომპეტენციის ფარგლებში მოგვაწოდოთ ინფორმაცია რა ეტაპზეა მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებული ტექნიკური პროცედურები, ამასთან მოქალაქეთა თხოვნით, გთხოვთ, მომიჯნავე კორპუსის მაცხოვრებლები დაინტერესებული პირები და ჩვენ ჩაგვრთოთ განხილვის პროცესში, რადგან კრიტიკულად მნიშვნელოვანია მათი პოზიციების გაცნობა ამ პროცესში.

ამასთან, გთხოვთ მოგვწერეთ შეიცვალა თუ არა ახალი გენ-გეგმით არსებული ფუნქციური ზონირება 2014-2018 წლების შემდეგ, დადებითი პასუხის შემთხვევაში გთხოვთ, მიუთითოთ საკრებულოს დადგენილება.

მოქალაქეთა თხოვნით მოგმართავთ, იმ შემთხვევაში თუ ზემოთ მოცემულ საკადასტრო ერთეულთან დაკავშირებით რაიმე დოკუმენტი შემოვა საკრებულოში კომისიურ ფორმატში განსახილველად წინასწარ ჩაგვაყენოთ საქმის კურსში.


ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: 03-032409646
თარიღი: 05/04/2024

**ადრესატი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
**მისამართი:** შარტავას ქ. 7

**ადრესატი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
**მისამართი:** თბილისი, შარტავას ქ. N7

**მოგესალმებით,**

თბილისის საკრებულოს პარტია "ანა დოლიძე-ხალხისთვის" აპარატს მომართა დიდი დიღმის მე-4 მიკრო/რაიონის მოსახლეობამ, რომლებიც გამოთქვამენ უკმაყოფილებას, 01.10.07.004.084 საკადასტრო ერთეულზე სამომავლოდ განსახორციელებელ მშენებლობასთან დაკავშირებით.

გთხოვთ, თქვენი კომპეტენციის ფარგლებში მოგვაწოდოთ ინფორმაცია რა ეტაპზეა მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებული ტექნიკური პროცედურები, ამასთან მოქალაქეთა თხოვნით, გთხოვთ, მომიჯნავე კორპუსის მაცხოვრებლები დაინტერესებული პირები და ჩვენ ჩაგვრთოთ განხილვის პროცესში, რადგან კრიტიკულად მნიშვნელოვანია მათი პოზიციების გაცნობა ამ პროცესში.

ამასთან, გთხოვთ მოგვწერეთ შეიცვალა თუ არა ახალი გენ-გეგმით არსებული ფუნქციური ზონირება 2014-2018 წლების შემდეგ, დადებითი პასუხის შემთხვევაში გთხოვთ, მიუთითოთ საკრებულოს დადგენილება.

11.04.2024 არქიტექტურის სამსახურის პასუხი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2024 წლის 05 აპრილის N03-032409646 ( N14-01240963048-60; 05.04.24წ) მომართვა, რომლის პასუხად გაცნობებთ, რომ 2023 წლის 26 ოქტომბრის N6729264 ბრძანებით ქ. თბილისში, N01.10.07.004.084 საკადასტრო ერთეულზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (ორი ბლოკი) განთავსების მიზნით, დადგინდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. ამასთან გაცნობებთ, რომ 2023 წლის 27 დეკემბრის NAR11005394 განაცხადით სამსახურს მომართა მოქალაქე ზურაბ ლოლაშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისში, N01.10.07.004.084 საკადასტრო ერთეულზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა. საკითხის შესწავლის შედეგად, მასში გამოვლინდა გარკვეული სახის ხარვეზები, რის გამოც ამ ეტაპზე აღნიშნულის დადგენა არ მომხდარა. თქვენი შეტყობინება მიღებულია ცნობის სახით და ასახულია სამსახურის მონაცემთა ბაზაში.



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
არქიტექტურის სამსახური

წერილის ნომერი: 60-01241024197
თარიღი: 11/04/2024

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2024 წლის 05 აპრილის N03-032409646 ( N14-01240963048-60; 05.04.24წ) მომართვა, რომლის პასუხად გაცნობებთ, რომ 2023 წლის 26 ოქტომბრის N6729264 ბრძანებით ქ. თბილისში, N01.10.07.004.084 საკადასტრო ერთეულზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (ორი ბლოკი) განთავსების მიზნით, დადგინდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

ამასთან გაცნობებთ, რომ 2023 წლის 27 დეკემბრის NAR11005394 განაცხადით სამსახურს მომართა მოქალაქე ზურაბ ლოლაშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისში, N01.10.07.004.084 საკადასტრო ერთეულზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა. საკითხის შესწავლის შედეგად, მასში გამოვლინდა გარკვეული სახის ხარვეზები, რის გამოც ამ ეტაპზე აღნიშნულის დადგენა არ მომხდარა.

თქვენი შეტყობინება მიღებულია ცნობის სახით და ასახულია სამსახურის მონაცემთა ბაზაში.

დამატებით, გაცნობებთ, რომ სამსახური მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარების თაობაზე წარმოდგენილი კონკრეტული განცხადების განხილვისას, განიხილავს ამ ობიექტთან დაკავშირებით თქვენ მიერ წარმოდგენილ შეტყობინებასაც, ზეპირი მოსმენის სხდომის ჩატარების გარეშე. რის შედეგადაც სამსახური მიიღებს კანონმდებლობის შესაბამის გადაწყვეტილებას ყველა დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და გარემოებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარების შესახებ თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ- გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.

18.04.2024 - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პასუხი

file:///C:/Users/User/Downloads/60dfd646-0f9b-4733-91ce-321aa8a0ec11.pdf

11.04.2024 - გარე სამსახურებრივი კორესპონდენცია თბილსერვის ჯგუფთან

გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია ქ. თბილისში, ბოჭორმის ქუჩაზე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიმდებარედ ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ. საინფორმაციო დაფაზე განთავსებული ინფორმაციის მიხედვით, თბილსერვის ჯგუფი აწარმოებს სამუშაოებს, შესაბამისად, გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ სატენდერო დოკუმენტაცია სამუშაოების დაწყების და დასრულების ვადების მითითებით.


ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: 03-032410297
თარიღი: 11/04/2024

ადრესატი: შპს თბილსერვის ჯგუფი
მისამართი: კახეთის გზატკეცილი N67

მოგესალმებით,

გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია ქ. თბილისში, ბოჭორმის ქუჩაზე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიმდებარედ ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ.

საინფორმაციო დაფაზე განთავსებული ინფორმაციის მიხედვით, თბილსერვის ჯგუფი აწარმოებს სამუშაოებს, შესაბამისად, გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ სატენდერო დოკუმენტაცია სამუშაოების დაწყების და დასრულების ვადების მითითებით.

ნინო წულაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს წევრი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

Activate Win
Go to Settings to

18.04.2024 - თბილსერვის ჯგუფის პასუხი

ქალბატონო ნინო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 12 აპრილის # 14- 0124103314-62 (11.04.2024წ. # 03-032410297) განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ შპს ''თბილსერვის ჯგუფი'' ქ. თბილისში, ბოჭორმის ქუჩაზე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიმდებარედ, ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოებს არ ახორციელებს.

23.04.2024 - გარე კორესპონდენცია მუნიციპალურ ინსპექციასთან

როგორც თქვენთვის არის ცნობილი, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ –ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა 2024 წლის 16 თებერვლის

№6891092 ბრძანებით ქ. თბილისში, ბურძგლას ქუჩა 106–ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ №01.10.15.023.009) შეათანხმა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გასცა მშენებლობის ნებართვა. გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენ მიერ მიმდინარე სამშენებლო პროცესის სანებართვო პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით ჩატარებული შემოწმების შედეგები



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032411438**
თარიღი: **23/04/2024**

**ადრესატი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
**მისამართი:** შარტავას ქ. 7ა

ქ. თბილისის მუნიციპალურ ინსპექციას

მოგესალმებით,

როგორც თქვენთვის არის ცნობილი, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ -ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა 2024 წლის 16 თებერვლის №6891092 ბრძანებით ქ. თბილისში, ბურძგლას ქუჩა 106–ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ №01.10.15.023.009) შეათანხმა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გასცა მშენებლობის ნებართვა.

გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენ მიერ მიმდინარე სამშენებლო პროცესის სანებართვო პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით ჩატარებული შემოწმების შედეგები.

ნინო წულაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს წევრი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

16.05.2024 - მუნიციპალური ინსპექციის პასუხი

[file:///C:/Users/User/Downloads/5a249fc2-f4d4-4537-b7be-8201ead4d583.pdf](file:///C:/Users/User/Downloads/5a249fc2-f4d4-4537-b7be-8201ead4d583.pdf)

- მაისი - არა რუსულ კანონს!
- ივნისი - არა რუსულ კანონს!
- ივლისი - არა რუსულ კანონს!
- აგვისტო - არა რუსულ კანონს!
- სექტემბერი - არა რუსულ კანონს!
- ოქტომბერი - არა რუსულ კანონს!

ქ, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი
პარტია "ანა დოლიძე-ხალხისთვის" ნინო წულაძე


ბრძოლას აქვს აზრი!